39:31 – 39:50

|   |  |
|---|--|
|   | <p>Interviews</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- Why are they oppressing and violating us?!</li> <li>- Why won't they bomb us? You would rest and we would rest, too. It's a habit of our government, they shoot us in beds. Why won't they bomb us?</li> </ul> <p>39:51</p> <p>Subtitle – Machalikashvili Case</p>  |
| <p><b>SHOTLIST:</b></p>                       | <p>Tbilisi, building of Parliament, offices of different non-governmental organizations, Pankisi Valley, Machalikashvili's house.</p>  |
| <p><b>SCRIPT:</b><br/>(Original language)</p> | <p>უკვე 7 თვეა საქართველოს დედაქალაქის, თბილისის ცენტრში, პარლამენტის წინ საპროტესტო კარავია გაშლილი; აქედან მალხაზ მაჩალიკაშვილი ხელისუფლებას თხოვს გამოიძიოს, რატომ მოუკლეს შვილი; 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი 2017 წლის 26 დეკემბერს ღამით, საკუთარ სახლში სპეცოპერაციისას სპეცრაზმელის ტყვიით სასიკვდილოდ დაიჭრა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განმარტებით, მაჩალიკაშვილს წინააღდეგობის გაწევის გამო ესროლეს. სპეცოპერაციისას აქტუალური იყო ტერორიზმის თემა. თემირლან მაჩალიკაშვილს, სუსის ვერსიით, ტერორიზმში ბრალდებულებთან კავშირის გამო მიაკითხეს.</p> <p>დაჭრილი ახალგაზრდა 2 კვირაში საავადმყოფოში, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. მას ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიღებული.</p> <p>მაჩალიკაშვილების ოჯახი ხელისუფლებასთან ასეთი მოთხოვნა აქვს: ან დაუსაბუთონ, რომ თემირლანი მართლაც იყო კავშირში ტერორისტებთან, ან აღიარონ სპეცოპერაციის დროს დაშვებული შეცდომა და დასაჯონ მასზე პასუხისმგებელი პირები. ასევე, დაასაბუთონ სპეცოპერაციის ამ ფორმით ჩატარების საფუძვლიანობა.</p> <p>საიდან დაიწყო ამბავი?<br/>რატომ თემირლან მაჩალიკაშვილი?<br/>შეცდომა თუ დანაშაული?</p> <p style="text-align: center;">მაჩალიკაშვილის საქმე</p> <p>სალოსის ქუჩა 2017 წელი. 22 ნოემბერი. თბილისში ერთი ჩვეულებრივი დილა თენდება. საქართველოს მოსახლეობამ ჯერ არაფერი იცის. ქალაქი ნელ-ნელა იღვიძებს. ადამიანები სოციალურ ქსელებში აწყდებიან ცნობებს, რომ დედაქალაქის ერთ-ერთ უბანში რამდენიმე საათია, სპეცოპერაცია მიმდინარეობს.</p> <p>სპეცოპერაცია დაახლოებით 22 საათი გაგრძელდება. თანდათან ირკვევა ახალი დეტალები. გაჩნდა პირველი ცნობები, რომ სახელმწიფო</p> |

უსაფრთხოების სამსახურმა საერთაშორისო ძებნილი, ტერორისტად გამოცხადებული აჰმედ ჩატაევი და მისი ჯგუფი გაანადგურა.

ვახო სანაია - სთენდაფი

ჩვენ მოვედით გაბრიელ სალოსის ქუჩაზე. ეს არის კორპუსი, სადაც 22 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა სპეცოპერაცია. ძირითადი ადგილი - ეს იყო მეორე სართული, სადაც იმყოფებოდნენ შეიარაღებული პირები, მეორე სართულიდან ის ბინა, რომელიც გაჩვენეთ და ასევე, მეორე ბინა, სადაც ასევე ტარდებოდა სპეცოპერაცია იმიტომ, რომ შეიარაღებულმა პირებმა ერთი ბინიდან გადმოინაცვლეს მეორეში.

პანკისის ხეობა. აღმოსავლეთი საქართველო. კახეთის მხარე. რუსეთ-საქართველოს საზღვართან. ძირითადად ქისტებით დასახლებული. ქისტებში საქართველოს მოსაზღვრე თემებიდან პანკისის ხეობაში მასობრივად ჩამოსახლებული ჩეჩნური წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფი იგულისხმება.

თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ გასულია დაახლოებით ერთი თვე. სპეცოპერაცია ამჯერად პანკისის ხეობაში, სოფელი დუისში ტარდება. დედაქალაქიდან 128 კილომეტრზე. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სპეცდანიშნულების რაზმით შუა ღამით 6 ოჯახში ერთდროულად შედის.

ერთ-ერთ ოჯახში ვითარება გართულდა. მაჩალიკაშვილების 19 წლის ვაჟი სასიკვდილოდ დაიჭრა. ახალგაზრდას სპეცრაზმელმა ესროლა მაშინ, როცა თემირლანი საკუთარ ოთახში იმყოფებოდა.

სინქრონი - მაღაზა მაჩალიკაშვილი - თემირლან მაჩალიკაშვილის მამა

თქვენმა შვილმა წინააღმდეგობა გაუწია, როგორ თუ წინააღმდეგობა გაგიწია მეთქი, აგერ ხელყუმბარით გაგვიწია წინააღმდეგობა. რომელი ხელყუმბარა ვეკითხები, თქვენგან მარცხნივ გაიხედეთ ხელყუმბარა დევსო და მართლაც მარცხნივ გავიხედე, პირდაპირ კარების გასვწრივ დევს ხელყუმბარა გახსნილ მდგომარეობაში.

საქმის მთელი სირთულე სულ რამდენიმე წამს უკავშირდება. ეს არის გასროლის მომენტი, რატომ გამოიყენა სპეცრაზმელმა ტყვია. ალვადგინოთ იმ ღამის სურათი:

მაჩალიკაშვილების ორსართულიანი სახლი ეზოთი, ორი შესასვლელით. პირველ სართულზე ძინავთ თემირლანის მშობლებს. პირველ სართულზევეა თემირლანის ბებიის ოთახი. ამ კიბეს მეორე სართულზე ავყავართ. ერთი ოთახი თემირლანს ეკუთვნის. მეორე მის დას- ნატას. დაახლოებით 3:45 თემირლანის დამ ნატამ და პირველ სართულზე მყოფმა ოჯახის წევრებმა გაიგონეს გასროლის ხმა.

სინქრონი - ნატა მაჩალიკაშვილი - თემირლან მაჩალიკაშვილის და

გავიგონე მე ხმა ვერანდაზე. ხმა რომ გავიგონე გავიფიქრე ძაღლების ხმა იყო, მაშინვე ავდექი გამოვედი, კარი როოგრც კი გავაღე თუ არა ძალიან საშინელი ხმაური, სროლის ხმა იყო.

|   |
|---|
| <p>სინქრონი - მალხაზ მაჩალიკაშვილი - თემირლან მაჩალიკაშვილის მამა ჩამინებულები ვართ, მესმის კარის ჩამტვრევის ხმა და სროლის ხმა ერთდროულად. ზუსტად გავიგე ის ხმა, თემირლანს როგორ გაუარა თავში მაგ ტყვიამ. ის ხმა ვიგრძენი მე.</p> <p>პირველი სართულიდან მეორისკენ გაქცეული მალხაზ მაჩალიკაშვილი იქვე, კიბეზე დააკავეს და პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში შეიყვანეს, მეორე ოთახში რამდენიმე საათის განმავლობაში იყვნენ ჩაკეტილი თემირლანის დედა, და და ბებია.</p> <p>სინქრონი - ნატა მაჩალიკაშვილი - თემირლან მაჩალიკაშვილის და სადღაც 3 საათი ვყავდით ოთახში. ძალიან გაუსამძლის პირობებში იმიტომ, რომ წყალს ვთხოვდით არ გვადლევდნენ, ბებიას საპირფარეოში უნდოდა, არ უშვებდნენ. ბებია რომ ცუდად გაგვიხდა ოთახში, კრუნჩხვები დაემართა, თავის დროზე ნემსი არ გაუკეთეს. ეს ცალკე შოკი იყო ჩვენთვის.</p> <p>თემირლან მაჩალიკაშვილს 3:45 ესროლეს. ეს დრო ზუსტად ახსოვთ ოჯახის წევრებს. სადავო და ბუნდოვანია, ზუსტად რა მოხდა გასროლის შემდეგ.</p> <ul style="list-style-type: none"><li>• რამდენ ხანში გამოიძახეს სასწრაფო?</li><li>• რამდენ ხანში მოვიდა სასწრაფო?</li><li>• რა მანქანით გადაიყვანეს დაჭრილი?</li><li>• როდის შეიყვანეს ახმეტის საავადმყოფოში დაჭრილი?</li><li>• რამდენი ხანი იმყოფებოდა დაჭრილი ახმეტაში და რა დახმარება გაუწიეს მას?</li><li>• როდის გადაიყვანეს მაჩალიკაშვილი ახმეტიდან თელავის საავადმყოფოში?</li></ul> <p>გაჩნდა ეჭვი, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებს დაჭრილი თემირლან მაჩალიკაშვილის გადარჩენა არ უცდიათ. ამ ეჭვის მიხედვით, უფრო პირიქით, მათი საზრუნავი დროის მოგება იყო, რომ საიდანმე მთავარი მტკიცებულება - ხელყუმბარა მოეტანათ და დაჭრილის ოთახში დაედოთ. ოჯახის წევრებს ესმოდათ, როგორ გამოიძახეს სასწრაფო, ოღონდ არა ზუსტ მისამართზე, არამედ მეზობელ სოფელ ომალოში,</p> <p>სინქრონი - მალხაზ მაჩალიკაშვილი - თემირლან მაჩალიკაშვილის მამა რომ გამოიძახეს სასწრაფო, ესენი თანმიმდევრულად ელოდებოდნენ თელავიდან ხელყუმბარის გადმოტანას. თუ მოასწრებდნენ, ის სასწრაფო უნდა მოსულიყო პირდაპირ აქ, თუ არა ის უნდა გაეშვათ ომალოში. ჯერ დაიძახეს სასწრაფო დუისში ამ მისამართით, მერე გადააკეთეს, თქვეს, რომ არა დუისში, არამედ ომალოშია საჭირო კატასტროფა.</p> <p>ჩვენ დავიწყეთ გამოკვლევა, აქვს თუ არა ამ ეჭვს საფუძველი. წერილი მივწერეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - 112-ს, გადაუდებელი დახმარების მართვის ცენტრს.</p> <p style="text-align: center;">გრაფიკა 1</p> |
|---|

2017 წლის 26 დეკემბერს გამთენიისას 03:30სთ-დან დილის 08:00სათ-მდე გამოიძახეს თუ არა სასწრაფო დახმარების ჯგუფი ახმეტის მუნიციპალიტეტის 2 სოფელში - დუისსა და ომალოში. გთხოვთ, მოგვაწოდოთ გამოძახების ზუსტი დროც.

ჩვენმა საგამომიებო ჯგუფმა 112-დან ეს პასუხი მიიღო.

## გრაფიკა 2

თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 26 დეკემბერს 112-ში შეტყობინება დაფიქსირდა 04:17 სთზე. ინიციატორის გადმოცემით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოში მოქალაქეს ესაჭიროებოდა სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადის დახმარება. განმეორებითი ზარები ზემოთაღნიშნული მოთხოვნით დაფიქსირდა გარკვეული პერიოდულობით - (4:20:55 საათზე; 4:30:25 საათზე; 4:37:46 საათზე; 4:43:27 საათზე).

112-ის გარდა, სასწრაფო დახმარების გამოძახებები ფიქსირდება ჯანდაცვის სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში. ოფიციალურ წერილში, რომელიც ამ ცენტრიდან მაჩალიკაშვილის დამცველმა ორგანიზაციამ იემსიმ მიიღო, 112-ისგან განსხვავებული დროებია მოცემული.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა მაჩალიკაშვილების ოჯახში 04:18 სთ-ზე გამოიძახეს, ბრიგადა 04:21-საათზე გავიდა, ხოლო 04:26 სთ-ზე სასწრაფო დახმარებას გზაში შეახვედრეს ახალგაზრდა მამაკაცი უგონო მდგომარეობაში. 04:34-სთზე დაჭრილი შეიყვანეს ახმეტის რაიონულ ჰოსპიტალში.

აქ საინტერესოა ერთი ფაქტი. თუ 04:34 სთზე თემირლან მაჩალიკაშვილი უკვე საავადმყოფოში იყო, რატომ ფიქსირდება გამოძახებები 112-ში 04:37 საათსა და 04:43 საათზე? ასევე, რატომ იძახებენ სასწრაფო დახმარების მანქანას სოფელ ომალოში დუისის მაგივრად?

სინქრონი: ქეთი ჩუთლაშვილი - EMC-ის იურისტი

ბუნებრივია, რომ ჩვენ ამ საკითხის გარკვევის მიზნით მივმართეთ პროკურატურას და, წარუდგინეთ მოპოვებული ინფორმაცია და მოვთხოვეთ ზარის ინიციატორის გამოკითხვა და ასევე მოვთხოვეთ 112-ში ამ ადამიანის მხრიდან განხორციელებული ზარების აუდიოჩანაწერის გამოთხოვა და შესწავლა. პროკურატურამ გამოკითხა ზარის ინიციატორი და ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა გავცნობოდით ამ ადამიანის მიერ გამოძიებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას. ამ ინფორმაციის თანახმად, როგორც ნახეთ აქაც ფიქსირდება, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოძახებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოში. ამ ადამიანმა ახსნა, რომ მას შეეშალა ადგილმდებარეობა და ამიტომ როდესაც განმეორებით დარეკა, მიუთითა სოფელი დუისი. რაც შეეხება აუდიო ჩანაწერებს, ამ განხორციელებული შეტყობინებების, სადაც ბუნებრივია უნდა ფიქსირდებოდეს რატომ ითხოვს ეს ადამიანი 04:37 წუთზე და 04:43 საათზე კიდევ სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებას, ამ ჩანაწერების ირგვლივ პროკურატურას ჩვენთვის არაფერი არ მოუწოდებია, არანაირი პასუხი არ გაუცია, მიუხედავად იმისა,

რომ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ მივმართეთ და ვთხოვეთ, რომ ჩვენი არა ერთი მოთხოვნის მიუხედავად არ გვცემს ამ საკითხის ირგვლივ არანაირ პასუხს.

მეტი სიცხადისთვის:

- გასროლა 03:45-ზე, სოფელი დუისი - აქ იმყოფება დაჭრილი თემირლან მაჩალიკაშვილი;
- 04:34 - პაციენტი შეყვანილია ახმეტის საავადმყოფოში, 06:55 - გაწერილია ახმეტის საავადმყოფოდან. წყარო კლინიკის პრესსამსახური.
- 07:20 - პაციენტი შეყვანილია თელავის საავადმყოფოში. წყარო კლინიკის პრესსამსახური.

კითხვა: გადაიყვანეს თუ არა თემირლან მაჩალიკაშვილი სახლიდან საავადმყოფოში დაგვიანებით? და რეალობაა თუ არა მონაცემებში, რომელსაც კლინიკები ავრცელებენ?

რა ხდებოდა 04:34-დან 06:55-მდე? ჩვენ ახმეტის ჰოსპიტალში ჩავედით და შევეცადეთ, მივყოლოდით მათივე ინფორმაციას, რომ მძიმედ დაჭრილი თემირლანი 2 საათსა და 20 წუთს ჰყავდათ გაჩერებული იქ, სადაც მისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენა არ შეეძლოთ და იცოდნენ, რომ სხვა საავადმყოფოში უნდა გადაემისამართებინათ.

კითხვის ნიშნები გააძლიერა კლინიკის რეაქციამ: ადგილზე ჩასულებს ჰოსპიტალის თანამშრომლებთან გასაუბრების საშუალება არ მოგვცეს, უფრო მეტიც, გვითხრეს, რომ ხელმძღვანელმა საავადმყოფოში ჩვენს შეშვებაზე უარი თქვა.

სინქრონი

-პრესსამსახურს მიმართეთ.

-მივმართე, ველაპარაკე და გამოვაო, ასე მითხრეს, ახლა ველარ ვუკავშრდები.

-თუ გამოვაო პრესსამსახურმა უთხრას, მე არ მაქვს წვდომა, მე ვერ ვეტყვი მენეჯერს. დავრეკე ხელმძღვანელობაში და შიგნით არ შეუშვათ არ შეიძლებაო.

სინქრონი - მალხაზ მაჩალიკაშვილი - თემირლან მაჩალიკაშვილის მამა

მე მიჭირს ამაზე საუბარი იმიტომ, რომ ამ დროის განმავლობაში ჩვენ ვიყავით, მთლიანი ოჯახი მძევლად აყვანილი და თემირლანი როდის გაყვანეს და როდის წაიყვანეს ჩვენთვის უცნობია. ნუ ერთი რამ ცხადია, ნათელია, რომ თემირლანი ამყოფეს მანამ, სანამ თელავიდან ხელყუმბარა არ ამოიტანეს და სანამ არ ჩადეს ჩემთან სახლში. როგორც ირკვევა, თემირლანი ჰყავდათ რაღაც ორი საათი და რამდენი წუთის განმავლობაში ახმეტაში, ეს საერთოდ სიმართლეს არ შეესაბამება. ან თემირლანი ჰყავდათ გზაში ან თემირლანი ჰყავდათ ჩემთან სახლში. მაშინ სულ პირველად მე ახმეტაში მივედი, რომ იქიდან გამომეტანა ყველა ინფორმაცია. მაშინ მითხრეს, 20 წუთი ჰყავდათ ახმეტის საავადმყოფოში, მაგრამ იქიდან რომ გაიყვანეს, აზრზე არ ვარ სად ჰყავდათ.

EMC-იმ პროკურატურას მიმართა თხოვნით, მიეწოდებინათ ახმეტის ჰოსპიტალის კამერის ჩანაწერები, თუმცა საგამომებო უწყებისგან პასუხი ამ დრომდე არ არის.

სინქრონი ქეთი ჩუთლაშვილი - EMC-ის იურისტი

ბუნებრივია, დღის წესრიგში იდგა სასწრაფოს მიერ საავადმყოფოში შეყვანის დროის განსაზღვრა. ახმეტის რაიონის ჰოსპიტალში თუ არის განთავსებული ვიდეოკამერა და თუ არის მათზე დაფიქსირებული, რომელ საათზე შეიყვანეს თემირლან მაჩალიკაშვილი? - ამ მოთხოვნითაც როდესაც მივამრთეთ პროკურატურას, მათ არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ და ჩვენთვის უცნობია, შეისწავლეს ეს კამერის ჩანაწერები თუ არა.

ახმეტისგან განსხვავებით ჩვენ პრობლემა არ გვქონია გავსაუბრებოდი თელავის საავადმყოფოს დირექტორს. აქ აღსანიშნავია, რომ ახმეტაც და თელავიც ერთი და იგივე კერძო კომპანიის “ევექსის” საკუთრებაა. მათმა მენეჯმენტმა ახმეტაში კარი ჩაკეტა, თელავში - გახსნა. შესაძლოა იმიტომაც, რომ თელავის საავადმყოფოში შეყვანის დროსთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ არსებობს.

სინქრონი -ხათუნა ჭონიაშვილი - თელავის რეფერალური საავადმყოფოს დირექტორი

ჩვენს კლინიკაში თემირლან მაჩალიკაშვილი გადმოყვანილი იყო დილის 7 საათსა და 20 წუთზე, გადმოყვანილი იქნა კატასტროფის ბრიგადის მიერ ახმეტის ჰოსპიტალიდან, პაციენტი იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე. პირველად შეყვანილ იქნა ახმეტის ჰოსპიტალში, სდაც გაეწია პირველადი დახმარება, დამუშავდა ჭრილობა, სისხლმდენი ჭრილობა იყო და შემდგომი კვლევისთვის და ჩარევებისთვის გადმოყვანილი იქნა პაციენტი ჩვენთან თელავის ჰოსპიტალში.

რატომ შევიდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მაჩალიკაშვილების ოჯახში. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პირველ სპეცოპერაციას უნდა დავუბრუნდეთ.

ბინა, სადაც ახმედ ჩატაევი თანამოაზრეებთან ერთად ცხოვრობდა, წარმოშობით პანკისელ თინა გაურგაშვილს ეკუთვნის. ის ამჟამად ვენაში ცხოვრობს. ბინა გაურგაშვილის ნათესავმა გააქირავა.

ჩატაევთან ერთად ამ ბინაში მყოფი პირებიდან ორი - შოაიფ ბორზიევი და ასლანბეგ სოლტახმედოვი ერთი პერიოდი პანკისის ხეობაში ცხოვრობდა. სოფელ დუისში მათ მაჩალიკაშვილების სახლის წინ დაიდეს ბინა. სახლებს სულ რამდენიმე მეტრი აშორებს ერთმანეთისგან. სოფელ დუისში ამ ორ ახალგაზრდას ყველა იცნობდა, მათ შორის თემირლან მაჩალიკაშვილიც. სეიფულა და აბდულა - ასე გაეცნენ სოფელს სტუმრები. ქისტური წესით, სტუმარს არ ეკითხებიან, რატომ და რამდენი ხნით ჩამოვიდნენ. ყოველ შემთხვევაში, დუისელები ამ საკითხს სწორედ ტრადიციით ხსნიან.

სოფელში სეიფულა და აბდულა ხშირად გადადიოდნენ მაჩალიკაშვილების ეზოში, რადგან იქ უსადენო ინტერნეტზე წვდომა ჰქონდათ. ხშირად

თამაშობდნენ ფეხბურთს სხვა ახალგაზრდებთან ერთად. დადიოდნენ და იღებდნენ ფოტოებს ხეობის ლამაზ ადგილებში. დუისელები ჰყვებიან, რომ საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ. რამდენიმე თვის შემდეგ სეიფულა და აბდულა პანკისის ხეობიდან წავიდნენ.

სინქრონი-ნატა მაჩალიკაშვილი - თემირლან მაჩალიკაშვილის და

სეიფულა და აბდულა, მაგრამ ახლო ურთიერთობა არ მქონია იმიტომ, რომ მე დილიდან საღამომდე სამსახურს ვიყავი. ყოფილა შემთხვევა, მე, როცა სახლში ვყოფილვარ, ზაფხულში შემოსულან ბიჭები ჩაის დასალევად, აქ მეზობლებიდან, თან გარეთ ვაიჩაი არის და სულ ეზოში ისხდნენ ის ბიჭები ჩვენთან, საეჭვო არაფერი არ შემინიშნავს საერთოდ.

თემირლან მაჩალიკაშვილისა და ამ 2 ადამიანის გზები კიდევ ერთხელ დედაქალაქში გადაიკვეთა მას შემდეგ, რაც მაჩალიკაშვილების ოჯახმა თემირლანი სასწავლებლად თბილისში გაგზავნა. ოჯახს მეზობელმა სწორედ ის ბინა შესთავაზა, სადაც ნაცნობები - სეიფულა და აბდულა ცხოვრობდნენ. ოჯახისთვის მისაღები აღმოჩნდა, რადგანაც ბინის ქირის გადახდა არ მოუწევდა. ასე რომ, თემირლანმა, სეიფულამ და აბდულამ, რამდენიმე თვის განმავლობაში ერთად იცხოვრეს.

დავუბრუნდეთ თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციას. ამ სპეცოპერაციის სამიზნეებიდან ახმეტ ჩატაევის, აბდულას, იგივე ასლანბეგ სოლტახმეტოვისა და კიდევ ერთი პირის ლიკვიდაცია ადგილზევე მოხდა; სეიფულა, იგივე შოაიფ ბორზიევი - დღეს სასჯელს იხდის ტერორიზმის ბრალდებით.

როდესაც უსაფრთხოების სამსახურის მეორე სპეცოპერაციის შემდეგ მძიმედ დაჭრილი თემირლან მაჩალიკაშვილი საავადმყოფოში იყო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საინტერესო ვიდეომასალა დაავრცელა. ამ ვიდეოში ჩანს 4 პირი. მათ შორის სოლტახმეტოვი და ბორზიევი, იგივე სეიფულა და აბდულა, თემირლან მაჩალიკაშვილი და კიდევ ერთი პირი, რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სახე დაუმალა. მალე მედიაში გავრცელდა ვიდეოს სხვა ვარიანტი, სადაც სახე დაფარული აღარ არის. თემირლან მაჩალიკაშვილი ამ პირებთან ერთად ტელეფონებს ყიდულობს. მართლაც, ხელახლა დგება საკითხი - რა აკავშირებდა თემირლანს ს ამ ხალხთან? და ჩნდება კითხვები - რატომ გაჰყვა მათ ტელეფონების მაღაზიაში? როდის ჰქონდა სახელმწიფოს ეს ვიდეომასალა? ამოღებული იყო თუ არა კადრები პანკისის სპეცოპერაციამდე? სწორედ ამ კადრებმა ხომ არ გადააწყვეტინა ხელისუფლებას, რომ თემირლანი უნდა დაეკავებინათ?

დაცვის მხარე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელთ ეს ერთადერთი რეალური მტკიცებულებაა, თუმცა არ ნიშნავს იმას, რომ თემირლანი ვიდეოჩანაწერის მონაწილე სხვა პირების მიზნებისა და საქმიანობის შესახებ იყო ინფორმირებული.

სინქრონი-მარიამ კუბლაშვილი - მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატი

არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ თემირლანმა იცოდა, ვინ იყვნენ ეს პიროვნებები, რისთვის იყვნენ ჩამოსულები საქართველოში და რას

აპირებდნენ. მას არ ჰქონდა ამ ინფორმაციაზე წვდომა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვინაიდან იცნობდა, ჰქონდა სატელეფონო ზარი ან ტუნდაც ერთხელ იყვნენ გასულები, ან ცხოვრობდნენ ერთი პერიოდი, შესაძლებელია, წარმოშობდა კითხვებს, მაგრამ მე მაქვს კითხვა, ვიდრე დაკავების ბრძანებას მიიღებდნენ რატომ არ იქნა თემირლან მაჩალიკაშვილი დაკითხული. იქნებ ძალიან საკამრისი ინფორმაცია მიეღოთ, რატომ არ დიაბარეს და რატომ არ დაკითხეს პირველ რიგში.

ჩვენ შევხვდით პატიმრის - ბორზიევის ადვოკატს და მას ციხეში შეკითხვები გავუზავნეთ. გვანტერესებდა, იცოდა თუ არა თემირლან მაჩალიკაშვილმა სეიფულას ნამდვილი ვინაობა ან მისი საქმიანობის შესახებ. გვიპასუხა:

სინქრონი - იმედა ქარქაშაძე - შოაიფ ბორზიევის ადვოკატი

თემირლან მაჩალიკაშვილმა ნამდვილად არ იცოდა შოაიფ ბორზიევის სახელი. შოაიფ ბორზიევი როდესაც პანკისში ჩადის, იქ მას ყველა იცნობს, როგორც სეიფულას და ჩვეულებრივ როგორც ტურისტი ჩეჩნეთიდან ცხოვრობდა პანკისის ხეობაში. თემირლანმა არც კი იცოდა, საერთოდ ჩატაევი საქართველოში იყო თუ არა.

კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც გვანტერესებდა, ეხება ცნობილ კადრებს, როცა ტერორიზმში ბრალდებულთან ერთად თემირლან მაჩალიკაშვილი ტელეფონს ყიდულობს. როგორ აღმოჩნდნენ ისინი ერთად ტელეფონების მაღაზიაში. ბორზიევის ადვოკატი ამას მარტივად ხსნის.

სინქრონი - იმედა ქარქაშაძე - შოაიფ ბორზიევის ადვოკატი

ჰქონდა ჩვეულებრივი ურთიერთობა, არანაირი ზედმეტი, არც მეგობრობის იქით არანაირი და ეს მეგობრობაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ახალგაზრდობილები იყვნენ და როდესაც კი დასჭირდა მას ვთქვათ მობილურის შეძენა, თემირლან მაჩალიკაშვილმა რადგან იცოდა ქართული, გაჰყვა ბორზიევს ტელეფონის შესაძენად. მეტი სხვა რაღაც ისეთი ურთიერთობა არ ყოფილა.

მაჩალიკაშვილების ოჯახის ინტერესების დამცველმა ადამიანის უფლებებისა და სწავლების მონიტორინგის ცენტრმა საკიტხის შესწავლის შემდეგ 20 ძირითადი დარღვევა გამოავლინა. მათ შორის არის მთავარი კითხვა:

- რითი დასტურდება, რომ თემირლანმა სპეცრაზმელს წინააღმდეგობა ხელყუმბარით ხელში გაუწია?

რა მდგომარეობაში იმყოფებოდა თემირლან მაჩალიკაშვილი გასროლის მომენტში. ამ შეკითხვაზე პასუხი მნიშვნელოვანია, რადგან ნათელი უნდა მოფინოს, მოდიოდა თუ არა მისგან საფრთხე და ედგა თუ არა სპეცრაზმელს გასროლის აუცილებლობა. მოგვიანებით ოჯახისა და ადვოკატის ინიციატივით საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტები ერთვებიან. დასკვნის მიხედვით, თემირლან მაჩალიკაშვილი ლოგინში იწვა, სავარაუდოდ, ყურსასმენები ეკეთა და შესაძლოა, ეძინა კიდევ.

სინქრ - მარიამ კუბლაშვილი - მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატი

საქმეში ფიგურირებს ფოტოსურათი, სადაც ფიქსირდება სისხლიანი ყურსასმენები. თემირლანს ყურსასმენები ეკეთა, ანუ ის ამ ხმაურს ანუ კარის შემონგევას და ამ გარკვეულ მოსალოდნელ ფაქტორებს ვერ გაიგებდა. ფაქტია, ის იწვა. ფაქტია, ის არ იყო წამომდგარი. ეს უკვე ცალსახად კონკრეტულ სურათზე მეტყველებს. თემირლანს ხელში ეჭირა ტელეფონი, ვერ დაინახა სპეცრაზმელმა რა ეჭირა მას ხელში და სხვა გამოსავალი ვერ ნახა, რომელსაც პირდაპირ კანონი ავალდებულებდა, რომ სხვა გამანეიტრალბელი საშუალებები გამოეყენებინა, მაგალითად არსებობს წყლის ჭავლი, არსებობს გაზი, არსებობს კდიევ დაჭრა: ხელი, ფეხი და ასე შემდეგ, ან კიდეც დაკავების მცდელობა და ასე შემდეგ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხელყუმბარა, რომელიც სუსის ვერსიით, თემირლანის ოთახიდან ამოიღეს. საკითხი სადავოა. ჰქონდა თუ არა ეს საბრძოლო საშუალება თემირლან მაჩალიკაშვილს. ოჯახი და ადვოკატები ამტკიცებენ, რომ ხელყუმბარა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ოთახში მოგვიანებით თავად შეიტანეს.

სინქრონი - მარიამ კუბლაშვილი - მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატი

მეორე დანაშაული არსებობს მოგონილი ვერსიის გასამართლებლად, ეს არის ხელყუმბარის შეტანა, ანუ მტკიცებულების შემოსვლა და შექმნა ამ პროცესში. როდესაც ხელყუმბარის გახსნას ცდილობ, ხელყუმბარის გახსნა ასეთი არ არის, რომ უბრალოდ ხელი მოკიდო და უბრალოდ ამოხსნა, მას ძალა ჭირდება და როდესაც მცდელობას დაიწყებ უნდა მოუჭირო ხელი საკმაო ძალით. ეს არ არის უბრალოდ, რომ ამოაძრო და გადააგდო. მასზე თუ იყო ჭიდილი, ანუ თემირლან მაჩალიკაშვილის ხელის მოჭერა ძლიერი და აუცილებლად უნდა ყოფილიყო ანაბეჭდები. ანაბეჭდების გაკეთება შესაძლებელი იქნებოდა მერეც, თუმცაღა მერე დაისმებოდა ძალიან ბევრი კითხვა: რა მდგომარეობაში, როგორ არის თითის... და ამიტომ მრავალი კითხვა რომ არ ყოფილიყო, გადაწყვიტეს, რომ ნათითური არ დაიტანეს და ის არგუმენტი, რომ მასზე დეენემი, ბიოლოგიური მასალა ამოვიდა, ძალიან ადვილად შემძლია, რომ გავაბათილო, ეს თავიდანვე ვთქვი. სისხლში მოსვრილი ოთახი, თემირლანის ბიოლოგიური მასალით სავსე მისი საწოლი ლოგინი და ნივთები, მასზე გადავიტან დავდებ ხელყუმბარას, წვეთს შევახებ სისხლისას და გადმოსულია ეს მასალა. ნათითურები არ ამოვიდა, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რითი მიმტკიცებს? ბიოლოგიური მასალით და დეენემით მიმტკიცებს, რომ ხელყუმბარა ეჭირა?!

კიდეც ერთი მნიშვნელოვანი შეკითხვა: რა ხდებოდა ნივთმტკიცებებთან დაკავშირებით თემირლან მაჩალიკაშვილის ოთახში? აქ მთავარი პრეტენზია ისევ უსაფრთხოების სამსახურთან არის, რომელმაც ისე ამოიღო ნივთმტკიცებები, რომ არ დაელოდა პროკურატურას.

სინქ - თამთა მიქელამე - EMC-ის იურისტი

გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვან დანაშაულს, ამ შემთხვევაში, რომელსაც სისხლის ხელყოფა მოჰყვა, ამ დანაშაულში სავარუდო ბრალეულმა უწყებამ ჩაატარა ჩხრეკა-ამოღება, რაც სერიოზული დარღვევაა. რა თქმა უნდა, სუსის

თანამშრომლებს ექნებოდათ ძალიან მაღალი ინტერესი გადაეფარათ მომხდარი დანაშაული. ადამიანთა უფლებების თვალსაზრისით არის ცალსახა და ამაზე არა ერთხელ უმსჯელია ადამიანთა ევროპულ სასამართლოს, როდესაც ძალიან მნიშვნელოვან საგამომიებო მოქმედებებს ატარებს ის უწყება, რომლის ბრალეულობის საკითხი ამ საქმეში ჩანს, ბუნებრივია, რომ ისინი საერთოდ გასულეები იყვნენ გამოძიების პროცესიდან. ჩვენ ამ საქმეში ვხედავთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებების ამოღება, მათ შორიდ ხელყუმბარის, მათ შორის იარაღის, მოხდა სწორედ სუსის პირდაპირი მონაწილეობით.

მეტიც, ამოღებულ ნივთებზე უსაფრთხოების სამსახურმა თავად დანიშნა ექსპერტიზა. სახელმწიფომ ამ ექსპერტიზის ფარგლებში გაანადგურა ხელყუმბარა - მთავარი ნივთმტკიცება, რამაც მოსპო ხელახალი ექსპერტიზის შესაძლებლობა. ასევე, ცეცხსასროლ იარაღს თავადვე შეუცვალა ნაწილი; ადვოკატის თქმით, დაჭრილისთვის ჩატარებული ქირურგიული ჩარევით კი წაიშალა კვალი, რამაც ხელი შეუშალა კვლევას.

სინქრონი - მარიამ კუბლაშვილი - მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატი ფორმალურად გაიხსნა ჭრილობა და დაიკეტა, მაგრამ მთავარი წაიშალა - ტყვიის შემავალი და გამავალი ადგილი ისევე, როგორც იქნა დანგრეული და განადგურებული ტყვიის ბოლო გაჩერების წერტილი, ეს არის კედელი. ფაქტიურად, განადგურებულ იქნა მტკიცებულებები, ტყვიის პირველადი შემავალი და ბოლო გაჩერების წერტილი და რატომ, რომ შეუძლებელი ყოფილიყო მანძილის დადგენა, რაც შეიძლება ბუნდოვანი რომ ყოფილიყო შემდგომ ექსპერიმენტის გაკეთება.

სინქრონი ქეთი ჩუთლაშვილი - EMC-ის იურისტი

სუსის გადაწვეტილებითვე განხორციელდა თემირლან მაჩალიკაშვილის საძიებელი ოთახიდან თითქოსდა ამოღებულ ხელყუმბარაზე ვარგისიანობის შემოწმების დანიშვნა, რაც გულსიხმობს, რომ ამის შედეგად ხელყუმბარა აფეთქდა, ანუ განადგურდა და ბუნებრივია, მასზე დამატებითი საექსპერტო კვლევების განხორციელების საშუალება თბილისის პროკურატურის საგამომიებო ნაწილს აღარ მისცემია. ასევე მნიშვნელოვანი არის, რომ ადგილზე არ იქნა აღმოჩენილი მასრა, რომლითაც უნდა მომხდარიყო სროლის მანძილის განსაზღვრა და საბოლოოდ მასრა აღმოაჩნდა სახელმწიფო უსაფრთხოების თანამშრომელთან, რომელსაც, თავის მხრივ, როგორც ჩანს მიაწოდა სპეცრაზმელმა, რომელმაც გასროლა განხორციელა და მისი განმარტებით ეს მასრა ჩაიჭედა იარაღში. იმ იარაღის ის დეტალი გაიჭედა, რომელიც პასუხისმგებელია მასრის გადმოგდებაზე. მოგვიანებით, ეს იარაღი გადაეცა ექსპერტიზას. ექსპერტიზაზე იარაღი წარდგენილი იქნა უკვე შეცვლილი დეტალით და ბუნებრივია, რომ ექსპერტიზამ ვეღარ შეძლო შესაბამისი დასკვნის გაკეთება.

შემდეგი შეკითხვა: ჰქონდა თუ არა სუსს გაზომილი რისკები სპეცოპერაციის დაგეგმვის დროს. EMC მიიჩნევს, რომ - არა. მისი წარმომადგენლის თქმით, მაჩალიკაშვილის შემთხვევაში არ არსებობდა ძალის გამოყენების აუცილებლობა არც სპეცოპერაციის ღამეს და არც ზოგადად, ვინაიდან ის

სოფელში თავისუფლად და მართო გადაადგილდებოდა სპეცოპერაციის დღესაც და წინა დღეებშიც.

სინქრონი - თამთა მიქელაძე - emc-ის იურისტი

ჩვენ ვიცით, რომ წინა დღეს და ღამით თემირლანი იყო სახლში, ის ყანაში ეხმარებოდა მამას სარების მოზიდვაში. იმ პირობებში, როდესაც თემირლანი არც მარტო და არც სხვებთან ერთად დანაშაულის ჩადენაში არ მონაწილეობდა, ეს არ იყო გარკვეული შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც რაღაცას გეგმავდა, არც ძალადობრივ პროცესებში იყო ჩართული. ჩვენი მთავარი პრეტენზია სუსის მიმართ სწორედ ეს არის, რატომ მოხდა სპეცოპერაციის ამ მასშტაბით ჩატარება, რატომ დასჭირდა სახელმწიფოს საკუთარი რეპრესიული აპარატის ამ ინტენსივობით გამოყენება?

ამ ბუნდოვანი ისტორიის კიდევ ერთი მონაწილე ზურაბ გორნაკაშვილია, რომელიც იგივე სპეცოპერაციის ფარგლებში დააკავეს და სასამართლომ დამნაშავედ ცნო ტერორიზმის ხელშეწყობის ბრადებით. ჩვენ პატიმრის ადვოკატს შევხვდით და პირველად მოვიპოვეთ გორნაკაშვილის პაუხები მისი დამცველის მეშვეობით. პატიმარი ამბობს, რომ საგამომიებო ორგანოები სასჯელის შემცირების სანაცვლოდ მას თემირლან მაჩალიკაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას სთხოვდნენ.

სინქრონი - ზურაბ გორნაკაშვილის ადვოკატი

პროკურატურა ესაუბრებოდა მას იმასთან დაკავშირებით, რომ გაუკეთებდა საპროცესო შეთანხმებას მისაღები, შეღავათიანი პირობებით იმ შემთხვევაში, თუ იგი აღიარებდა ბრალს. ბრალის აღიარება კი მათ შორის მოიცავდა იმას, რომ ზურიკო გორნაკაშვილს უნდა დათანხმებოდა იმას, რომ თემირლან მაჩალიკაშვილი აგრეთვე მონაწილეობდა მოცემულ საქმეში და აგრეთვე უჭერდა მხარს ტერორისტებს აქტიურად. ზურიკო გორნაკაშვილმა მათ შორის უარი თქვა საპროცესო შეთანხმებაზე იმ მოტივითაც, რომ არ უნდოდა თემირლან მაჩალიკაშვილისთვის ხელის დადება და საუბარი, რომ თითქოსდა თემირლანი კავშირში იყო მოცემულ ტერორისტებთან, ვინაიდან თავად ზურიკო გორნაკაშვილს აღნიშნულის შესახებ რაიმე კონკრეტული ინფორმაცია არ ქონდა.

ვის მფარველობს სახელმწიფო მანქანა და რატომ?

ვინ ხელმძღვანელობდა სპეცოპერაციას?

თემირლან მაჩალიკაშვილის დედა იხსენებს, რომ იცნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე იოსებ გოგაშვილი.

სინქრონი - მედიკო მარგოშვილი - თემირლან მაჩალიკაშვილის დედა

რომ გადავყავდი ისევ მეზობლად, ვითხოვდი შემოსვლას დაჟინებით, ძლივს გადავყავდი იქით მეზობლებთან. ნატაც გამოუშვეს, სპეცრაზმლებმა დედა დააწყნარეთ და მაშინ მომიახლოვდა სოსო გოგაშვილი და თითის დაქნევით მითხრა, სტუმრები ვინ გყავდათო. მერე შევხედე, სტუმარი მე ყოველთვის მომდის მეთქი, ვის გულისმობხ, მითხარი, გულახდილად გეტყვი, ვინ გაინტერესებს სტუმარი მეთქი. ძალიან კარგად იციო მითხრა.

გოგაშვილი მოგვიანებით სუსიდან საკუთარი განცხადებით, თუმცა განმარტებების გარეშე წავიდა და მმართველ პარტიაში დასაქმდა. სწორედ პარტიის ოფისთან დასრულდა საპროტესტო აქცია, რომელიც გოგაშვილის დასჯის მოთხოვნით თბილისში გაიმართა. გოგაშვილი აცხადებს, რომ ადგილზე არ ყოფილა.

სოსო გოგაშვილი - სუს-ს ხელმძღვანელის ყოფილი მოადგილე

გამომკითხონ მეც და გამოკითხონ ის ადამიანები იმ დღეს თბილისში მე ვისთან ერთადაც ვიყავი და შემდეგ ტექნიკური საშუალებებითაც შეიძლება ამის დადასტურება, რომ ნამდვილად აქ ვიყავი.

წელიწადნახევრის შემდეგ პასუხი მაჩალიკაშვილის საკითხზე ისევ არა გვაქვს. არც ის ვიცით, აქვს თუ არა ამ საქმეს პერსპექტივა და მივა თუ არა ოდესმე სასამართლომდე. ოჯახს დაზარალებულის სტატუსი არ აქვს, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ისინი საქმის მასალებზე წვდომის უფლებას ვერ იღებენ.

სინქრ - თამთა მიქელაძე EMC-ის ადვოკატი

მაგალითად, სპეცრაზმელების ჩვენებები დღემდე ხელმისაწვდომი ჩვენთვის არ არის, ამიტომ არ ვიცით საერთოდ რა ნარატივი აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით სპეცრაზმელებს თავად და რამდენად არის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები და სხვა ჩვენებები გარკვეულწილად თანხვედრი.

სინქრ - მარიამ კუბლაშვილი - მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატი

დასრულებულია ყველა საგამომიებო მოქმედება, დაკითხულია ყველა პირი, დასრულებულია ესპერტიზის დასკვნები, დადონ გადაწყვეტილება - არის ეს დანაშაული თუ არ არის დანაშაული. შემდეგ ჩვენ უკვე გავქვს საშუალება, რომ ვიმოქმედოთ და გავსაჩივროთ ეს გადაწყვეტილება და წავიდეთ უფრო მაღალ ინსტანციებში.

თემირლან მაჩალიკაშვილის დაღუპვა საქართველოში ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ამბავია. თუმცა საქმის მასალებზე წვდომა არც სახალხო დამცველს აქვს. ნინო ლომჯარია პროკურატურას მოსთხოვა მასალების გაცნობა, მაგრამ უარი მიიღო.

სინქრ - ნინო ლომჯარია - სახალხო დამცველი

როდესაც ჩვენ არა ერთგზისს მივმართეთ პროკურატურას, სამწუხაროდ, პროურატურამ არ მოგვცა დაშვება ამ მასალებზე, ამიტომ ჩვენ ძალიან გვიჭირს შევაფასოთ, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს გამომიება და რამდენად ტარდება ყველა ის საგამომიებო მოქმედება, რაც უნდა ჩატარდეს იმისთვის, რომ დადგინდეს მაჩალიკაშვილის გარდაცვალების გარემოებები. უკვე ვფიქრობთ, რომ არის საკმარისი დრო გასული იმისთვის, რომ გამომიებამ სულ მცირე, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია, რა პროგრესია ამ მიმართულებით და როდის დასრულდება გამომიება.

ამ ეტაპისთვის შეუსრულებელი რჩება პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილის დაპირება, რომლის მიხედვითაც ის საქმეს დეტალურად უნდა გაცნობოდა და გამომიება შედეგიანად დაესრულებინა. პრემიერისა და მაჩალიკაშვილის შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრიც ესწრებოდა. დღეს

გიორგი კვირიკაშვილი თანამდებობაზე აღარ არის, გიორგი გახარია კი ხაზს უსვამს, რომ არ უნდა დაგვაფიყდეს, რომ ეს საქმე ტერორიზმს ეხება.

სინქრონი - გიორგი გახარია - შინაგან საქმეთა მინისტრი

მაჩალიკაშვილის საქმეზე მე ვერაფერს ვერ გეტყვით იმიტომ, რომ საკმაოდ მძიმე საქმეა და მე არ მინდა ეხლა კომენტარი გავაკეთო, მიტუმეტეს ეს გადის ჩემი უფლებამოსილების ფარგლებიდან და არ დავივიწყოთ, რომ ეს საქმე ტერორიზმს ეხება.

სინქრონი - თამთა მიქელაძე - EMC-ის იურისტი

სწორედ ტერორიზმის მხარდაჭერის შინაარსმა ამ საქმეს გარკვეულწილად პოლიტიკური თეოლოგიის საბურველი გადააფარა, რის გამოც ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი ეს წელია სახელმწიფო ნაცვლად იმისა, რომ იყოს კრიტიკული ვთქვათ იგივე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის მიმართ ან ასე შემდეგ, კითხვის ნიშნები მაინც დასვას, ის მუდმივად აჩვენებს დუმილს ამ საქმესთან დაკავშირებით. ეს კონოტაცია, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული საქმეა სახელმწიფოებს აძლევთ ხოლმე ძალიან დიდ ლეგიტიმაციას, რადანაირად ესეთი საქმეები ანომიურ, სამართლის გარეშე მდგომარეობაში დატოვოს.

კომენტარს თავს არიდებენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და პროკურატურა. ორივე უწყებამ ჩვენთან ინტერვიუზე უარი განაცხადა.

EMC აპირებს საქმე სტრასბურგის ადამიანის უფლებების სასამართლოში წაიღოს. თუ სასამართლო საქმეს წარმოებაში მიიღებს, საქართველოს სახელმწიფოს მაჩალიკაშვილებისთვის იქ მოუწევს პასუხების გაცემა.

სინქრონი - თამთა მიქელაძე - EMC-ის იურისტი

ევროპულ სასამართლოში ჩვენ ვიდავებთ ერთი მხრივ სიცოცხლის უფლების დარღვევაზე, როგორც გამოყენებული ძალის აუცილებელობის და პროპორციულობის კუთხით, ისევე ჩატარებული გამოძიების ეფექტურობის კუთხით. ცხადია, ჩვენ ვიდავებთ წამების და არა ადამიანური მოპყრობის აკრძალვის პრინციპის დარღვევაზე. სეცოპერაცია საკმაოდ მძიმე ფორმებით ჩატარდა ოჯახში და ოჯახის წევრებს საკმაოდ დიდი სტრესი მიაყენა სუსმა. ამ სპეცოპერაციის დროს ისინი საათების განმავლობაში ოთახში ჰყავდათ გამოკეტილი, იარაღის დაბჯენით იატაკებზე დაყარეს და ასე შემდეგ, ამიტომ ვდავობთ ასევე წამებასა და არა ადამიანურ მოპყრობას. ვიდავებთ უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევას, როდესაც მაღალი თანამდებობის პირები მტკიცებით ფორმებში უთითებდნენ დანაშაულებზე და ასევე არა ეფექტურ გამოძიებას და ზოგადად სამართლებრივი მექანიზმების არა ეფექტურობას ამ საქმეში.

თემირლან მაჩალიკაშვილის დაღუპვამ პანკისის ხეობაზე სერიოზული გავლენა მოახდინა. ხელისუფლებასა და ადგილობრივებს შორის ამ ფაქტმა დიალოგი გაართულა. მალხაზ მაჩალიკაშვილი თვეებია, რუსთაველის პროსპექტზე ატარებს დღეებს. დაღუპულის მამის პროტესტმა პერმანენტული ხასიათი მიიღო დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე. ახლა ყველა გამვლელი

|   |  |
|---|--|
|   | <p>ყოველდღიურად ხედავს საპროტესტო წარწერებს თემირლანთან დაკავშირებით.</p> <p>ვახო სანაიას სტენდაფი რუსთაველზე</p> <p>უპასუხი შეკითხვებმა პროცესი ქუჩეაში გადმოიტანა. დედაქალაქის მთავარ პროსექტზე კარავი დადგა მალხაზ მაჩალიკაშვილმა, თემირლან მაჩალიკაშვილის მამამ.</p> <p>თემირლან მაჩალიკაშვილის სიკვდილის შემდეგ პანკისის ხეობამ კიდევ ერთი მძიმე ამბავი გადაიტანა. მოსახლეობა, რომელიც ჰესის მშენებლობას ეწინააღმდეგება, პირისპირ შეეჯახა სპეცრაზმს, რომელიც იქ ჰესის მშენებლობის დასაცავად ხელისუფლებამ გაგზავნა. სტიგმა გაძლიერდა. ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეები გამუდმებით ახსენებდნენ სპეცოპერაციის მსხვერპლის - თემირლან მაჩალიკაშვილის სახელს, რომლის ტერორიზმთან კავშირიც ამ დრომდე დადასტურებული არ არის.</p> <p>სინქრონი</p> <p>რატომ, რის გულიზე გვჩაგრავენ, რატომ, ფეხებქვეშ რატომ გვთელავენ?!</p> <p>სინქრონი</p> <p>ბარემ დაგვბომბონ და თქვენც დაისვენებთ, ჩვენც დავისვენებთ. ხელისუფლების ჩვევა ხო ეს არის, ლოგინშიც ხო გვხვრეტენ, ბარემ ერთი-ორი თვითმფრინავი და დაგვბომბონ. ჩვენც დვამშვიდდებით, ეს ხელისუფლებაც დამშვიდდება.</p> |
|   |  |
| <b>CAMERA OPERATOR:</b>                 | Giorgi Kakhadze, Zurab Buzaladze   |
| <b>VIDEO EDITOR:</b>                    | Shalva Pirtskhalava  |
| <b>MUSIC RIGHTS:</b><br>(If applicable) | Audiojungle  |